# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 18-62

4 მაისი 2018 წ

ქ. თბილისი

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი: www.matse.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099):

ა) პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა.ა) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) ზონა - 14 - დანართი N4-ით განსაზღვრული ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია.

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია დედაქალაქის ერთ-ერთი გაუნაშენიანებელი არეალია, სადაც ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად გაზრდილია განაშენიანებაზე მოთხოვნა. აუცილებელია სწორი ქალაქგეგმარებითი მიდგომის ჩამოყალიბება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ტერიტორიაზე ბუნებრივი ლანდშაფტის და ჯანსაღი სარეკრეაციო გარემოს შენარჩუნება, ასევე მშენებლობებისათვის დასაშვები პარამეტრების და პირობების განსაზღვრა და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთების მიმართ შესაბამისი სტრატეგიის ჩამოყალიბება.

ა.ბ) მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები:

„3. დანართი N4-ით განსაზღვრული ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე „ჩარჩო გეგმის“ შემუშავებამდე აღნიშნულ ტერიტორიაზე 6 თვის ვადით შეზღუდულია:

ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება;

ბ) დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა;

გ) ამ დადგენილებით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით;

დ) მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა);

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება დანართი N4-ით განსაზღვრულ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ:

ა) საცხოვრებელ ზონებზე (სზ), რომლისთვისაც დამუშავებულია „ჩარჩო გეგმა“ და რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირებისა (წითელი ხაზ(ებ)ი) და განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები);

ბ) მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გამოყოფილია კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის;

გ) მშენებარე შენობა-ნაგებობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მცირედ კორექტირებაზე ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ან მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე, რომლის მშენებლობა განხორციელებულია მშენებლობის ნებართვის საფუძველზე.“;

5. მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა ვრცელდება ასევე იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა მიმართაც ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია დაინტერესებული პირების განცხადებები, თუმცა ადმინისტრაციული წარმოებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება წინამდებარე ნორმის ამოქმედების დროისათვის მიღებული არ არის.“;

ბ) პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

განმარტებითი ბარათი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/მირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის მომზადება განაპირობა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საჭიროებამ.

1. თბილისის განვითარების ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ქაოტური განაშენიანებისგან დაცვა და ამ მიმართულებით ქალაქის სწორი ურბანული პოლიტიკის განსაზღვრა. შეიძლება ითქვას, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია ერთ-ერთი გაუნაშენიანებელი არეალია, სადაც ბოლო წლების განმავლობაში მშენებლობებისადმი მოთხოვნა გაზრდილია. ქალაქის პრიორიტეტია, სწორი ქალაქგეგმარებითი ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დანართით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, როგორც ბუნებრივი ლანდშაფტის და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფას, ისე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე დასაშვები მშენებლობების პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანართი N4-ით განსაზღვრული ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და ,,ჩარჩო გეგმის" შემუშავებამდე, აღნიშნულ ტერიტორიაზე შეზღუდულია:

ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება;

ბ) დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა;

გ) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით;

დ) მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა);

ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება:

ა) დანართი N4-ით განსაზღვრულ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე იმ საცხოვრებელ ზონებზე (სზ), რომელზეც დამუშავებულია „ჩარჩო გეგმა" და რომლის

ფარგლებშიც გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირებისა (წითელი ხაზ(ებ)ი) და განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები);

ბ) კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე.

გ) მშენებარე შენობა-ნაგებობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მცირედ კორექტირებაზე ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ან მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე, რომლის მშენებლობა განხორციელებულია მშენებლობის ნებართვის საფუძველზე.

პროექტით გათვალისწინებული შეზღუდვა ვრცელდება ასევე იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა მიმართაც ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია დაინტერესებული პირების განცხადებები, თუმცა ადმინისტრაციული წარმოებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება წინამდებარე დადგენილების ამოქმედების დროისათვის მიღებული არ არის.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურს წარედგინა ნუცა კეზევაძის (პ/ნ 01011092587) №AR1562191 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, მუსხელიშვილის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.17.10.001.044 და 01.17.10.001.048, საერთო ფრთობით: 3 738 კვ.მ); საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით მდებარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი კვარტალი, შესაბამისი ფუნქციური ზონით საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სამხრეთით ესაზღვრება დ. კვაჭანტირაძის ქუჩა, ხოლო დასავლეთით საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული სარეკრეაციო სივრცე; აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთები სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2013 წელს გასხვისდა აუქციონის წესით, რა დროსაც საკადასტრო ერთეულებზე 60%-ით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ხოლო დანარჩენ 40%-ზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); იმავე წელს, განხორციელდა ფუნქციური ზონის საზღვრების დაზუსტება და ორივე მიწის ნაკვეთზე გავრცელდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია საცხოვრებელი ზონა 6-ის უშუალოდ მიჯნაზე მდებარე ერთ-ერთ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.17.10.001.048, ფართობით 1819 კვ.მ) შეეცვალოს ფუნქციური ზონა სარეკრეაციო ზონა-2 საცხოვრებელი ზონა 6-ით, ხოლო მეორე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.17.10.001.044, ფართობი: 1919 კვ.მ) დარჩეს სარეკრეაციო ზონა 2-ის გავრცელების არეალში. შესაბამისად მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.10.001.048) შესაძლებელია სარეკრეაციო ზონა-2 შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 6-ით.

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის ავტორ(ებ)ი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.


ფუნქციური ზონები
ლეგენდა
ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)
საცხოვრებელი ზონა (სზ)
საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)
საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)
საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)
საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4)
საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)
საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
საკულტო
სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
სამრეწველო ზონა 2 (ს-2)
სანიტარული ზონა (სანზ)
სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)
სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ)
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)
სატრანსპორტო ზონა 3 (ტზ-3)
სატყეო
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)
სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)
სპეციალური ზონა 2 (სპეცზ-2)
გარემოს დამცავი ზონა 3 (გდზ-3)
N
W
E
S
1:30,000

# მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ



## მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ

## გზამკვლევი





1. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: **№01.19.36.014.480**, ფართობი: **313** კვ.მ), **6** კვ.მ-ზე სატრანსპორტო ზონა **1**-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა **3**-ით.

**AR1578306** ბ.ბედიაშვილი



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (არსებული ზონა **6** კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) (კორექტირებული ზონა **6** კვ.მ.)

1. **ქ. თბილისში, სამგორის რაიონში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.480), (6 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით.**

**AR1578306 ბ.ბედიაშვილი**



2. ქ. თბილისში, მაისურაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.033.025, ფართობი: 1 477 კვ.მ), 635 კვ.მ-ზე ზოგადი საცხოვრებელი ზონის ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით.

AR1579003 მ. ტაველიშვილი



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ) (არსებული ზონა **635** კვ.მ.)

სამრეწველო ზონა (ს-1) (კორექტირებული ზონა **635** კვ.მ.)

**2. ქ. თბილისში, მაისურაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.033.025), (635 კვ.მ.) ზოგადი საცხოვრებელი ზონის ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით.**

**AR1579003 მ. ტაველიშვილი**



**3.** ქ. თბილისში, ზ. ვეშაპურის **#15** არსებული ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: **№01.16.02.024.043**) ნაწილზე **(13** კვ.მ.), სატრანსპორტო ზონა **1**-ის ცვლილება ზოგადი საცხოვრებელი ზონით.

**AR1583530** ნ. ცოცხალაშვილი



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (არსებული ზონა **13** კვ.მ.)

ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ) (კორექტირებული ზონა **13** კვ.მ.)

**3. ქ. თბილისში, ზ. ვეშაპურის #15 არსებული ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.02.024.043) ნაწილზე (13 კვ.მ.), სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება ზოგადი საცხოვრბელი ზონით.**

**AR1583530 ნ. ცოცხალაშვილი**



**4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.001.014), (1339 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-ს, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 3-ს შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2017 16.03.2017 წლის ოქმი #11), განმცხადებელი.: ლ. ხუხაშვილი.

**AR1481743.**





არსებული ფუნქციური ზონის კონტური

კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (არსებული ზონა **1112** კვ.მ.)

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) (არსებული ზონა **227** კვ.მ.)

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3) (კორექტირებული ზონა **1339** კვ.მ.)

**4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.001.014), (1339 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-ს, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 3-ს შორის.**

სატრანსპორტო ზონა 1 და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2017 16.03.2017 წლის ოქმი #11), განმცხადებელი.: ლ. ხუხაშვილი.

**AR1481743.**



5. ქალაქ თბილისში, მუსხელიშვილის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასრო კოდი: 01.17.10.001.048) (1819 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ის ცვლილება სასაცხოვრებელი ზონა 6-ით.

AR1562191



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) (არსებული ზონა **1819** კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) (კორექტირებული ზონა **1819** კვ.მ.)

**5. ქალაქ თბილისში, მუსხელიშვილის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.10.001.048) (1819 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ის ცვლილება სასაცხოვრებელი ზონა 6-ით.**

**AR1562191**



**6. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.737, 72.16.23.694, 72.16.23.855, 72.16.15.633, 72.16.15.632, 72.16.15.637, 72.16.23.896-ზე და მიმდებარედ), (2122 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.**

საცხოვრებელი ზონა 1 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით.
განმცხადებელი.: ნ.ცქიმანაური.

**AR1552999.**





არსებული ფუნქციური ზონის კონტური

კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) (არსებული ზონა **2122** კვ.მ.)

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (კორექტირებული ზონა **2122** კვ.მ.)

**6. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.737, 72.16.23.694, 72.16.23.855, 72.16.15.633, 72.16.15.632, 72.16.15.637, 72.16.23.896-ზე და მიმდებარედ), (2122 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.**

საცხოვრებელი ზონა 1 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით.
განმცხადებელი.: ნ.ცქიმანაური.

**AR1552999.**




**7. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, წმ.თევდორეს უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: NN01.72.14.024.047, 01.72.14.024.042, 01.72.14.024.399, 01.72.14.024.041, 01.72.14.024.045) და მათ მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (1150 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით და საცხოვრებელი ზონა 1-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით.**

განმცხადებელი.: ნ.გილაური.

**AR1547662 (AR1552411).**



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (არსებული ზონა **415** კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) (კორექტირებული ზონა **415** კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) (არსებული ზონა **735** კვ.მ.)

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (კორექტირებული ზონა **735** კვ.მ.)

**7. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, წმ.თევდორეს უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: NN01.72.14.024.047, 01.72.14.024.042, 01.72.14.024.399, 01.72.14.024.041, 01.72.14.024.045) და მათ მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (1150 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით და საცხოვრებელი ზონა 1-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით.**

განმცხადებელი.: ნ.გილაური.

**AR1547662 (AR1552411).**



**8. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ხარაძის ქუჩა N2ა-ში, ქერჩის ქუჩა N1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.11.12.019.130), (5913 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 6-ის ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით.**

განმცხადებელი.: შ.ზაკურაძე.

**AR1563529.**





არსებული ფუნქციური ზონის კონტური

კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) (არსებული ზონა **5913** კვ.მ.)

სამრეწველო ზონა 1 (ს-1) (კორექტირებული ზონა **5913** კვ.მ.)

**8. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ხარაძის ქუჩა N2ა-ში, ქერჩის ქუჩა N1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.11.12.019.130), (5913 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 6-ის ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით.**

განმცხადებელი.: შ.ზაკურაძე.

**AR1563529.**



**9.** **ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, „ავშნიანი“, ქ. თბილისში, მიხეილ ვაშაკიძის ქუჩა N40-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.11.17.006.526, 01.11.17.023.023, 01.11.17.023.024), (1086 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონით და საცხოვრებელი ზონის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით.**

განმცხადებელი.: ბ. კობახიძე.

**AR1533785.**



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (არსებული ზონა **267** კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა (სზ) (კორექტირებული ზონა **267** კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა (სზ) (არსებული ზონა **819** კვ.მ.)

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (კორექტირებული ზონა **819** კვ.მ.)

**9. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, „ავშნიანში“, ქ. თბილისში, მიხეილ ვაშაკიძის ქუჩა N40-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.11.17.006.526, 01.11.17.023.023, 01.11.17.023.024), (1086 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონით და საცხოვრებელი ზონის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით.**

განმცხადებელი.: ბ. კობახიძე.

**AR1533785.**



**10. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ჭონქაძის ქუჩა #6, გერგეთის ქუჩა #6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.05.081.006-ზე და მიმდებარედ), (233 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 5-ის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 1-ით.**

განმცხადებელი.: თ.ნათენაძე.

**AR1539693.**



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) (არსებული ზონა **233** კვ.მ.)

სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) (კორექტირებული ზონა **233** კვ.მ.)

**10. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ჭონქაძის ქუჩა #6, გერგეთის ქუჩა #6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.05.081.006-ზე და მიმდებარედ), (233 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 5-ის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 1-ით.**

განმცხადებელი.: თ.ნათენაძე.

**AR1539693.**




**11. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი N20-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.326), (294 კვ.მ.) სპეციალური ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონით.**

განმცხადებელი.: ნ.სისაური
**AR1556071.**





არსებული ფუნქციური ზონის კონტური

კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) (არსებული ზონა **294** კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა (სზ) (კორექტირებული ზონა **294** კვ.მ.)

**11. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი N20-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.326), (294 კვ.მ.) სპეციალური ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონით.**

განმცხადებელი.: ნ.სისაური
**AR1556071.**



**12. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლება „ა“ მიკრორაიონში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.104), (53 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით.**

განმცხადებელი.: ზ.მილაძე.

**AR1542403.**



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) (არსებული ზონა **53** კვ.მ.)

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (კორექტირებული ზონა **53** კვ.მ.)

**12. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლება „ა“ მიკრორაიონში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.104), (53 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით.**

განმცხადებელი.: ზ.მილაძე.
**AR1542403.**




**13. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, სალხინოს ქუჩა N14-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N 01.16.03.014.018) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, (299 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონით.**

განმცხადებელი.: გ. წიბახაშვილი.
**AR1554927.**



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (არსებული ზონა **299** კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა (სზ) (კორექტირებული ზონა **299** კვ.მ.)

**13. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, სალხინოს ქუჩა N14-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N 01.16.03.014.018) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, (299 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონით.**

განმცხადებელი.: გ. წიბახაშვილი.
**AR1554927.**

# ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კვლევა

დანართი №4

აერო გადაღება

